სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

bakertilly

შინაარსი 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 7

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება 8

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 9

bakertilly

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" (შემდეგში, "მაუწყებელი") თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი ნაკადებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებებისაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, წარდგენილია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 2-ში აღწერილი საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ მაუწყებლისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აღსაღნიშნავი გარემოება - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და გამოყენების შეზღუდვა

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგრიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა #2-ზე, სადაც განმარტებულია, რომ წინამდებარე ფინანსური ანაგარიშგება მომზადებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს საქართველოს პარლამენტისათვის ყოველწლიური ანგარიშვალდებულების შესრულების მიზნით, სათანადო ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოებული საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებით. ამგვარად, სპეციალური ფინანსური ანგარიშგების გამოყენება, შესაბამისი კანონმდებლობისა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს საქმიანობაში გაუთვითცნობიერებლი პირებისათვის შესაძლოა გამოუსადეგარი იყოს. ამ გარემოების გამო ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ახსნა-განმარტებით შენიშვნა #2-ში მოცემული სააღიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე, ისეთი შიდა კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია იმგვარი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით განპირობებულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მაუწყებლის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას

bakertilly

განზრახული აქვს მაუწყებლის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან მაუწყებლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ მაუწყებლის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მაუწყებლის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.

ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)
პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
20 აპრილი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო

BAKER TILLY GEORGIA

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)	59,642,006	63,519,959
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 4)	2,493,254	3,231,669
სხვა გრძელვადიანი აქტივები (შენიშვნა 5)	2,470,707	3,151,836
სულ გრძელვადიანი აქტივები	***64,605,967***	***69,903,464***
მოკლევადიანი აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები (შენიშვნა 6)	2,173,396	2,283,620
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 7)	38,907,133	8,669,591
ანაზღაურებადი და წინასწრებით გადახდილი გადასახადები	-	180,639
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 8)	54,631,027	6,802,430
სულ მოკლევადიანი აქტივები	***95,711,556***	***17,936,280***
სულ აქტივები	**160,317,523**	**87,839,744**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება	108,355,797	41,616,895
სულ საკუთარი კაპიტალი	***108,355,797***	***41,616,895***
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 9)	38,273,453	43,233,985
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	1,030,348	1,224,433
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	***39,303,801***	***44,458,418***
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 10)	1,146,860	1,764,431
გადასახდელი გადასახადები	11,511,065	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	***12,657,925***	***1,764,431***
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**160,317,523**	**87,839,744**

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თ. ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ქ-ნი მ. დუნდუა, მთავარი ბუღალტერი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2022 წელი	2021 წელი
სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება	69,853,000	58,820,000
კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (შენიშვნა 11)	4,602,714	4,895,407
შრომის ანაზღაურება	(32,788,578)	(31,960,223)
შესყიდული მომსახურება	(955,754)	(1,457,611)
სამაუწყებლო ხარჯი	(15,644,256)	(18,287,527)
ოფისის ხარჯი	(487,679)	(540,746)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	(1,452,410)	(1,432,079)
ტრანსპორტის ხარჯი	(479,405)	(420,552)
დაცვის ხარჯი	(238,983)	(226,229)
იჯარის ხარჯი	(12,264)	(18,149)
საგადასახადო ხარჯი	(5,338,357)	(6,502,722)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6,321,534)	(6,270,565)
ძირითადი საშუალებების და სხვა მატერიალური მარაგების ჩამოწერა	(3,262,333)	(4,374)
სხვა ხარჯი (შენიშვნა 13)	(1,804,693)	(1,402,831)
სხვა შემოსავალი (შენიშვნა 12)	65,424,306	441,343
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)	(63,331)	(53,908)
ფინანსური შემოსავალი	2,080,985	1,103,705
ფინანსური ხარჯი	(6,372,526)	(4,546,019)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	**66,738,902**	**(7,863,080)**
სხვა სრული შემოსავალი - გასული პერიოდის კორექტირება	-	-
მიმდინარე წლის სრული მოგება/(ზარალი)	**66,738,902**	**(7,863,080)**

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თ. ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ქ-ნი მ. დუნდუა, მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
ბიუჯეტიდან დაფინანსება	69,853,000	58,820,000
მიზნობრივი გრანტი	72,634	379,933
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,409,984	2,736,750
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(53,597,799)	(52,511,694)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	***18,737,819***	***9,424,989***
გადახდილი პროცენტი	(6,372,526)	(4,546,028)
გადახდილი გადასახადები	(1,684,894)	(2,460,971)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**10,680,399**	**2,417,990**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა/მშენებლობა	(9,895,441)	(21,435,603)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	49,931,700	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**40,036,259**	**(21,435,603)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	-	17,560,744
სესხის ძირის დაფარვა	(4,960,532)	(1,638,617)
საპროცენტო შემოსავალი	2,080,985	1,103,705
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**(2,879,547)**	**17,025,832**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	**47,837,111**	**(1,991,781)**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	6,802,430	8,793,838
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად	(8,514)	373
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	**54,631,027**	**6,802,430**

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თ. ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ქ-ნი მ. დუნდუა, მთავარი ბუღალტერი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება

	2022 წლის ბიუჯეტი	2022 წლის ფაქტიური მონაცემები	სხვაობა
სამეურვეო საბჭო	1,047,795	919,051	128,744
გენ. დირექტ აპარატი და დაქვემდ სამს	3,144,566	3,170,463	(25,897)
ახალი და მიმდინარე ამბები	12,296,291	13,358,911	(1,062,620)
მედია	24,557,850	20,863,808	3,694,042
ტექტნიკა და ტექნოლოგიები	12,073,756	12,137,989	(64,233)
ფინანსები და ადმინისტრაცია	13,002,753	12,212,081	790,672
სხვა გადასახდელები	14,656,316	13,730,210	926,106
სულ	**80,779,327**	**76,392,513**	**4,386,814**

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თ. ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ქ-ნი მ. დუნდუა, მთავარი ბუღალტერი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი"_ს შექმნას საფუძველი ჩაუყარა მაუწყებლობის შესახებ კანონმა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო და ძალაში 2005 წლის 18 იანვარს შევიდა. სახელმწიფო ტელე-რადიო კორპორაციის საზოგადოებრივ მაუწყებლად ტრანსფორმაციის დასაწყისი სწორედ კანონის მიღებას უკავშირდება, მაუწყებელი გადავიდა მმართველობის ახალ ფორმაზე. 2005 წლის 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სამეურვეო საბჭო, როგორც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული და საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა; ხოლო სამეურვეო საბჭომ 2005 წლის 19 აგვისტოს, ღია კონკურსის წესით საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი აირჩია.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი" აერთიანებს სამ ტელეარხს: „პირველი არხი" (მაუწყებლობს 1956 წლიდან), „პირველი კავკასიური" (მაუწყებლობად 2010 წლიდან 2012 წლამდე), და „მეორე არხი" (მაუწყებლობს 1991 წლიდან), ასევე რადიო არხებს: საქართველოს რადიო - პირველი არხი 102.4 (1925 წლიდან), ქართული რადიო 100.9 (1995 წლიდან).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი "_ს იურიდიული მისამართია კოსტავას №68, თბილისი საქართველო.

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოში საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე დაყრდნობით.

2.2 ***უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება***

(a) სამუშაო და წარდგენის ვალუტა

მაუწყებლის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. მაუწყებლის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრისათვის და 2020 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები:

ვალუტა	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აშშ დოლარი (USD)	2.7020	3.0976
ევრო (EUR)	2.8844	3.5040
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.2581	4.1737
შვეიცარიული ფრანკი (CHF)	2.9322	3.3772
10 შვედური კრონი (SEK)	2.5920	3.4168
10 დანიური კრონი (DKK)	3.8786	4.7121

(b) ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება მაუწყებლის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მაუწყებლის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მიმდინარე წლიური ცვეთით შემცირებული საბალანსო ღირებულებით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფი როდესაც შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გადმოცემულია უსასყიდლოდ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისგან ან საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან, შეფასებულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ და აღირიცხება სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელის ფინანსურ ანგარიშგებაში. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება შეფასებული თანხით და შემდეგ აღირიცხება, საბალანსო ღირებულება შემცირებული დაკლებული წლიური ცვეთის ხარჯით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. წლის განმავლობაში მიღებულ აქტივს, წლის ბოლოს ერიცხება მთლიანი წლის ცვეთა. 2020 წლამდე მიღებული აქტივების სიცოცხლის ვადა გამოხატული იყო კოეფიციენტებში, ხოლო 2020 წლიდან მიღებული აქტივების ვადა გამოხატულია სასიცოცხლო წლების მიხედვით.

აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	ცვეთის განაკვეთი / სასიცოცხლო ვადა
შენობა-ნაგებობანი	1%-10%
მანქანა-დანადგარები	1%-50% | 4-90 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	1%-15% | 1-8 წელი
სხვა ძირითადი აქტივები	1%-14% | 1-7 წელი

2.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენთიფიცირებადი არაფულადი აქტივი.

მაუწყებლის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია მიმდინარე წლის ცვეთით შემცირებული საბალანსო ღირებულებით.

არამატერიალური აქტივები მოიცავს სატელევიზიო გადაცემების ლიცენზიებს, კომპიუტერულ პროგრამებს, სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო პროგრამებს, გამოყენების უფლებებს და სხვა არამატერიალურ აქტივებს რომლებზეც სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნია ხელშეკრულებები

ლიცენზიებზე და სხვა ვადიან არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაცია ერიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდზე გაანგარიშებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

2.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგები თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

მარაგების კორექტირება ხდება ინვენტარიზაციის აქტის შედეგებზე დაყრდნობით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების თანახმად, მარაგების ნაშთის კორექტირება ხდება მაშინ, როცა ინვენტარიზაცია ოფიციალურად ითვლება დასრულებულად და დასასტურებულია ზემდგომი საბჭოს მიერ.

2.6 სავაჭრო დებიტორები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები რომლებიც მისაღებია მომხმარებლისგან მომსახურებისა თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები აისახება იტორიული ღირებულებით, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისათვის - გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტის გათვალისწინებით.

2.7 ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.8 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტიის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინასნური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

მაუწყებელი აქტივად აღიარებს ფაქტობრივად გადახდილ და ანგარიშფაქტურით დადასტურელ დამატებითი ღირებულების გადასახადს, ამ აქტივების სამომავლოდ ჩათვლის შესაძლებლობის შეფასების გარეშე.

გადახდილი, მაგრამ (პროპორციის გამო) ჩაუთვლელი დღგ, მათ შორის ძირითადი საშუალებების შეძენაზე, მშენებლობაზე და მარაგების შესყიდვაზე, წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში განცალკავებით - საგადასახადო ხარჯი.

2.9 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.10 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სესხთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს, კომპანია აღრიცხავს, სესხის გრაფიკით განსაზღვრული გადახდის დღის მდგომარეობით.

2.11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგინდება როგორც გრძელვადიანი დავალიანება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველი აღიარდება და შემდგომი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით.

2.12 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება

გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

2.13 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, შენატანი საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ მაუწყებლის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.14 ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახული ფაქტობრივი მონაცემები ასახავს ფაქტობრივ ფულად გასავალს. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ მოიცავს არასახელმწიფო გრანტებსა და მასთან დაკავშირებულ გასავლებს.

შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობა	სატრანსპორტო საშუალებები	საბიბლიოთეკო ფონდი	მანქანა-დანადგარები	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	**24,059,551**	**2,065,266**	**871,128**	**109,845**	**17,430,478**	**1,117,903**	**1,320,204**	**46,974,375**
დამატება	-	38,231	466,282	1,222	11,817,325	369,014	11,993,537	24,685,611
გასვლა	-	(2,355)	(2,763)	-	(3,969,712)	-	-	(3,974,830)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	393,753	-	-	393,753
ცვეთის ხარჯი	-	(152,551)	(257,870)	-	3,931,078)	(217,451)	-	(4,558,950)
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	**24,059,551**	**1,948,591**	**1,076,777**	**111,067**	**21,740,766**	**1,269,466**	**13,313,741**	**63,519,959**
წინა წლის ცვეთის კორექტირება	-	-	102,156	-	-	-	-	102,156
დამატება	-	-	-	55	824,971	46,167	3,061,546	3,932,739
გასვლა (ნარჩენი ღირებულება)	(1,129,106)	(1,949,429)	(35,259)	-	(404,805)	(958)	-	(3,519,557)
აქტივების გადაფასების შედეგი	-	838	113,418	-	53,861	820	-	168,937
ცვეთის ხარჯი	-	-	(175,236)	-	(4,141,224)	(245,768)	-	(4,562,228)
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	**22,930,445**	**-**	**1,081,856**	**111,122**	**18,073,569**	**1,069,727**	**16,375,287**	**59,642,006**

შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პროგრამები
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	**4,812,243**
შეძენა	2,389,851
გასვლა	(2,316,318)
გასული აქტივების ცვეთა	57,508
ამორტიზაცია	(1,711,615)
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	**3,231,669**
შეძენა	1,022,141
გასვლა	(2,935,204)
გასული აქტივების ცვეთა	2,933,954
ამორტიზაცია	(1,759,306)
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	**2,493,254**

შენიშვნა 5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ძირითად საშუალებების შეძენისას გადახდილი დღგ	2,083,079	2,804,132
არარეზიდენტ კომპანიაში საგარანტიო თანხა	27,020	30,976
კინოფილმებში წილობრივი მონაწილეობა	360,608	316,728
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	**2,470,707**	**3,151,836**

შენიშვნა 6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მცირეფასიანი აქტივები	885,196	924,869
სამეურნეო მასალები და საკანცელარიო ნივთები	436,456	505,265
სათადარიგო ნაწილები	727,313	743,575
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	124,431	109,911
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	**2,173,396**	**2,283,620**

მცირეფასიანი აქტივები შედგება, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის №17 ბრძანების და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, 500 ლარზე ნაკლები ღირებულების აქტივებისგან - ტექნიკა, ინვენტარი, მოწყობილობა და სხვა მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც მიუხედავად გამოყენების ვადის ხანგრძლივობისა, განიხილება მოკლევადიან აქტივებად და აღირიცხება მატერიალური მარაგების მსგავსად.

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო მოთხოვნები	2,995,477	2,355,590
მოთხოვნები იჯარიდან	864,703	824,515
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6,977,761	4,562,043
სხვა მოთხოვნები	1,182,892	927,443
შენობის რეალიზაციიდან მისაღები თანხები	26,886,300	
სულ მოთხოვნები	**38,907,133**	**8,669,591**

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავს რეტრანსლიაციის შეძენილ უფლებებზე გადახდილ თანხებს. კონტრაქტუალურად და ეკონომიკური შინაარსით ეს წარმოადგენს შესყიდულ გრძელვადიან არამატერიალურ აქტივებს - რეტრანსლიაციის ლიცენზიებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს უმოძრაო ღირებულების ნაშთებს და ასევე ისეთ ნაშთებს, რომელთა ცვლილებაც გამოწვეულია წლის ბოლო კურსის ცვლილებით, რაც ასევე მოგება-ზარალზე ახდენს გავლენას ყოველწლიურად:

	31-დეკ-2022	2022 უმოძრაო	2022 თანაფარდობა	31-დეკ-2021	2021 უმოძრაო	2021 თანაფარდობა
სავაჭრო მოთხოვნები	2,995,477	346,242	12%	2,355,590	277,715	12%
მოთხოვნები იჯარიდან	864,703	282,140	33%	824,515	279,281	34%
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6,977,761	51,617	1%	4,562,043	61,617	1%
სხვა მოთხოვნები	1,182,892	838,656	71%	927,443	861,593	93%
შენობის რეალიზაციიდან მისაღები თანხები	26,886,300	-	0%	-	-	-
სულ ჯამი	**38,907,133**	**1,518,655**	**17%**	**8,669,591**	**1,480,206**	**17%**

შენიშვნა 8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფულადი სახსრები სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე	41,309	66,262
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	19,535,167	3,818,169
შეზღუდული ფულადი სახსრები*	35,054,551	2,917,999
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**54,631,027**	**6,802,430**

*შეზღუდული ფულადი სახსრები მოიცავს, თიბისი ბანკის მიერ, მშენებლობასთან დაკავშირებით გაცემული სესხის ფარგლებში დაკავებულ ფულად სახსრებს, რომელსაც ეტაპობრივად, მშენებლობის დასრულების მიხედვით უბრუნებს სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს.

შენიშვნა 9. ნასესხები საშუალებები

2022 წლის 31 დეკემბერი

სესხის ნომერი	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	ვალუტა	მიღებული თანხა	ნაშთი 31.12.2022	საპროცენტო განაკვეთი, + სებ[1]-ის რეფინანსირების განაკვეთი
89946-10347219	12.03.2019	12.03.2025	ლარი	3,397,290	2,378,103.00	5.05%
89946-10809174	30.12.2019	30.12.2025	ლარი	50,000	42,500.00	4.80%
89946-10903740	11.03.2020	13.12.2025	ლარი	642,330	545,980.00	4.80%
89946-10968721	03.06.2020	13.12.2025	ლარი	2,100,000	1,785,000.00	4.80%
89946-11095098	15.09.2020	31.12.2025	ლარი	876,000	818,500.00	4.80%
89946-11172116	18.11.2020	13.12.2025	ლარი	18,000,000	14,500,000.00	4.80%
89946-11232531	25.12.2020	21.12.2025	ლარი	2,373,636	2,064,048.00	4.80%
89946-11461063	21.06.2021	18.06.2026	ლარი	3,455,321	3,023,406.00	4.80%
89946-11613040	30.09.2021	30.09.2026	ლარი	4,300,000	3,911,805.00	4.80%
89946-11613046	30.09.2021	30.09.2026	ლარი	1,629,124	1,482,050.00	4.80%
89946-11686971	15.11.2021	15.11.2026	ლარი	2,838,481	2,680,788.00	4.80%
89946-11726569	09.12.2021	08.12.2026	ლარი	1,797,463	1,697,604.00	4.80%
89946-11778937	30.12.2021	29.12.2026	ლარი	3,540,355	3,343,669.00	4.80%
სულ				**45,000,000**	**38,273,453**	

2021 წლის 31 დეკემბერი

სესხის ნომერი	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	ვალუტა	მიღებული თანხა	ნაშთი 31.12.2021	საპროცენტო განაკვეთი, + სებ[2]-ის რეფინანსირების განაკვეთი
89946-10347219	12.03.2019	12.03.2025	ლარი	3,397,290	2,972,629	5.05%
89946-10809174	30.12.2019	30.12.2025	ლარი	50,000	47,500	4.80%
89946-10903740	11.03.2020	13.12.2025	ლარი	642,330	610,213	4.80%
89946-10968721	03.06.2020	13.12.2025	ლარი	2,100,000	1,995,000	4.80%
89946-11095098	15.09.2020	31.12.2025	ლარი	876,000	864,500	4.80%
89946-11172116	18.11.2020	13.12.2025	ლარი	18,000,000	17,000,000	4.80%
89946-11232531	25.12.2020	21.12.2025	ლარი	2,373,636	2,361,729	4.80%
89946-11461063	21.06.2021	18.06.2026	ლარი	3,455,321	3,359,340	4.80%
89946-11613040	30.09.2021	30.09.2026	ლარი	4,300,000	4,240,278	4.80%
89946-11613046	30.09.2021	30.09.2026	ლარი	1,629,124	1,606,497	4.80%
89946-11686971	15.11.2021	15.11.2026	ლარი	2,838,481	2,838,481	4.80%
89946-11726569	09.12.2021	08.12.2026	ლარი	1,797,463	1,797,463	4.80%
89946-11778937	30.12.2021	29.12.2026	ლარი	3,540,355	3,540,355	4.80%
სულ				**45,000,000**	**43,233,985**	

ყველა სესხი აღებულია სს „თიბისი ბანკში".

[1] სებ - საქართველოს ეროვნული ბანკი
[2] სებ - საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	928,209	1,502,838
მიღებული ავანსები	20,258	7,782
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	83,311	83,311
საგადასახადო ვალდებულებების ანარიცხი	94,848	146,036
სხვამოკლევადიანივალდებულებები	20,234	24,464
სულ	**1,146,860**	**1,764,431**

შენიშვნა 11. კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

	2022 წელი	2021 წელი
სარეკლამო შემოსავალი	647,352	863,816
სასპონსორო შემოსავალი	1,989,776	1,561,413
ბარტერით მიღებული შემოსავალი	480,901	449,113
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	905,583	1,032,684
საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება	332,106	283,202
სპეციალური პროექტები	84,913	36,797
ამერიკის საელჩოსგან მიღებული გრანტი	72,634	154,778
გაეროს განვითარების პროგრამა	-	225,155
სხვა	89,449	288,449
სულ კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	**4,602,714**	**4,895,407**

შენიშვნა 12. სხვა შემოსავალი

	2022 წელი	2021 წელი
მცირეფასიანი აქტივების რეალიზაცია	-	-
ჯარიმები	5,380	2,286
სახელმწიფოსგან ქონების მიღება	65,199,282	-
აქტივების გადაფასებით მიღებული შემოსავალი	180,096	233,231
სხვა	39,548	205,826
სულ სხვა შემოსავალი	**65,424,306**	**441,343**

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელმა 2022 წლის დეკემბერში, აუქციონის წესით, 65,199,282 ლარად გაასხვისა კოსტავას #68 მდებარე მიწა და მასე განთავსებული შენობა.

შენიშვნა 13. სხვა ხარჯი

	2021 წელი	2021 წელი
ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯი	256,179	246,032
ქვეყნის გარეთ მივლინების ხარჯი	1,209,965	519,925
სამედიცინო ხარჯი	2,000	18,664
სოციალური დახმარების ხარჯი	-	173,583
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა	25,107	17,186
სააღსრულებლოს მიერ დაკისრებული ხარჯი	29,210	188,504
სხვა	209,938	238,937
სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება	72,294	-
სულ სხვა შემოსავალი	**1,804,693**	**1,402,831**

შენიშვნა 14. დაკავშირებული მხარეები

	2022 წელი	2021 წელი
მაუწყებლის ხელმძღვანელობის წლიური ანაზღაურება	588,800	563,160
მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წლიური ანაზღაურება	686,879	585,610
სულ	**1,275,679**	**1,148,770**

შენიშვნა 15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2023 წლის 20 აპრილს.

About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and in dependent legal entities.

Contact us
Baker Tilly
BC Mantashev Rows
7 Bambis Rigi
Tbilisi 0105, Georgia
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 438 999
www.bakertilly.ge